ისრაელი. გუშინ ისრაელის ოუსტიციის მინისტრმა ოისეფ ლაბიდმა განაცხადა, რომ "ისრაელი განიხილავს პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურის ისაირ არაფატის სასამართლოს წინაშე წარდგენის შესაძლებლობას". მთავრობის წევრის ეს კომენტარი მას შემდეგ გაკეთდა, რაც ისრაელის სასამართლომ ტერორისტული ორგანიზაცია "ფატკ"-ის ყოფილი ლიდერი მარუან ბარგუტი ებრაელთა მკვლელობაში დანაშაულები ცნო. ბარგუტის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენში ნათქვამია: "უმრავლეს შემთხვევაში ბარგუტი არაფატის პირდაპირ დავალებებს ასრულებდა". ამგვარი დასკვნები იმის საფუძველზეა გაკეთებული, რომ ბარგუტი პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირდაპირ დაკვეთებარებაში იმყოფებოდა. ბარგუტის სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული იყო პოლიტიკურ მიზნებთან, - ნათქვამია სასამართლოს დასკვნაში. ამასობაში, გასამხედრო ორგანიზაციის მებრძოლებმა, რომლებიც ოფიციალურად "ფატკ"-ის მოძრაობაში შედიან, გამოაქვეყნეს კომუნიკე, სადაც ებრაელი მკვლელების აცხადეს იმუქრებიან. "ალაქსას ნამებულთა ბრიადეების" მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ მათი უაზლოესი სტრატეგია, ბარგუტზე გადაცვლის მიზნით, ებრაელთა გატაცება იქნება.

აი, რა ვისწავლეთ

ანუ გთხოვთ, ვისწავლოთ, როგორ ვისწავლოთ

ქალბატონო, რომ არ დაგერყათ და ღია გაკვეთილზე არ მიგეწვიეთ, აჯობებდა. ჩემთვის, ნამდვილად აჯობებდა, თორემ საქმისთვის იქნებ ასე აჯობოს, ვნახოთ! -ნაწევრად ღია წერილიდან.

დალი კაპრაძა

ღია გაკვეთილი - საგანი "კანონიერების კულტურა". ესწრებოდა ოცდასამი მოსწავლე და თორმეტი სტუმარი - ათი სხვადასხვა საგანმანათლებლო სტრუქტურის წარმომადგენელი პედაგოგი და ორი ჟურნალისტი.

მოსწავლეები არატრადიციულად, "ავანგარდული" წესით ისხდნენ: ცალ-ცალკე მაგიდებთან, მუშა ჯგუფებად დაყოფილები; დაფაზე გაკრული იყო წარწერებიანი ფურცლები; მაგიდეზე ჩანაწერებიანი და სუფთა ფურცლები, საგნის სახელმძღვანელოები ენყო; იყო სამუშაო გარემოს სრული სურათი, რომელიც, ჰა და ჰა, გაოცხლდებოდა.

გაკვეთილი მასწავლებელმა დაიწყო და ის უდავოდ კარგად მომზადებული იყო.

(არ გეკამათებით, მასწავლებელი ყველა გაკვეთილისთვის უნდა ემზადებოდეს!)

დაიწყოთ ფარნავაზით, მრავალჭირგამოვლილი, მაგრამ მაინც ბედნიერი საქართველოს ისტორიით; დავით აღმაშენებლის გავლით, ავტოკეფალიის დაკრეფავც ვახსენეთ;

მივიღებთ თუ არა

საკრებულოს ცხრაკაციანი დელეგაცია აბრილის თვეში პარიზში გაემგზავრა ფრანგულ კომპანია "ჟენერალ დეზოსთან" მოსალაპარაკებლად. პარიზული ვოიაჟით კმაყოფილი საკრებულოს თავმჯდომარე და მისი კოლეგები თბილწყალკანალის ფრანგული კომპანიისთვის გადაცემას მხარს უჭერდნენ და მის ლობიერებაზე ლაპარაკობდნენ. გუშინ საკრებულოში შეკრებილი ფრანკცია "ლუბორისტისა" და ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის რესურსების კათედრის წარმომადგენლები კი თბილწყალკანალის გასხვისებას აპროტესტებდნენ.

თამარ დვალი

იმ შემთხვევაში, თუკი ქართული და ფრანგული მხარე ხელშეკრულებას გააფორმებენ, ფრანგული კომპანია "გენერალ დეზო" თბილწყალკანალის 10 წლით მართვისა და მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილ 25 მილიონი ამერიკული დოლარის გაცეარგვის უფლებას მიიღებს. პარიზიდან ახლად დაბრუნებული დელეგაცია თბილწყალკანალის გასხვისებას ქვეყნისთვის ერთადერთ გამოსავლად მიიჩნევდა

ნეთ; გუთნისდედა ღვინიაც (!) მერე ავტოკეფალიაც აღედგინეთ; ნოემრის და მაისის რევოლუციებით დაგვასრულეთ და გაკეთდა დასკვნა, რომ კანონი უზენაესია. სხვათა შორის, მოვიხსენიეთ შექსპირიც (!) და ღია გაკვეთილის მიზანიც დავასეთი: უკვე მიღებული ცოდნის ბაზაზე, მოსწავლეებს თავისუფლად უნდა ეაზროვნათ და ესაუბრათ ღირსებაზე, ღირებულებებზე, ადამიანის უფლებებზე, კანონმორჩილებაზე, თავისუფლებასა და, ხაზგასმით იმაზე, რომ "კანონიერების კულტურა აუცილებელია".

მასწავლებლის დასმულ შეკითხვას მისივე მერჩეული მოსწავლე პასუხობდა. სხაპასუხობით ნაპასუხები ორაზროვნების ეჭვს არც მის თანაკლასელებს უქმნიდა და არც მაყურებლებს - "რა თქმა უნდა, ასეა". ასე, სხაპასუხობით ჩამოთვალეს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის პუნქტებიც - რომ მათ თავისუფალი სიტყვის, განათლების, ჯანმრთელობის და ა.შ. უფლებები აქვთ, განურჩევლად კანის ფერისა, სარწმუნოებისა, სოციალური წარმომავლობისა და ა.შ. არც ერთ პასუხს ეჭვი არ გამოუწევია, რომ მოსწავლეებმა საგანი "კანონიერების



ფრანგენტი გაკვეთილიდან.

ფრანგების მიერ მოწოდებულ წყალს?

კილომეტრს ნიშნავს. ამჟამად თბილწყალკანალი ოთხნახევარ კილომეტრს თავისი ძალებით ცვლის და რვა კილომეტრის შეცვლა ნამდვილად არ ღირს იმად, რომ ამ სანარმოზე კონტროლი დაგვარგოთ. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შემცირდება სასმელი წყლის მიწოდების ლიმიტიც. არსებობს მინისქვეშა წყლებისა და ზედაპირული წყლების გამოყენების მეთოდი. იმის გამო, რომ მინისქვეშა წყლების ამოღება ელექტროენერგიის გამოყენებას საჭიროებს, უცხოური მხარე ამჯობინებს, ზედაპირული წყალი მიანღობს მომხმარებელს. ასე რომ, ფრანგები წყალს ჟინვალიდან და თბილისის ზღვიდან მოგვანოდებენ", - ამბობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის რესურსების გამოყენების კათედრის დოცენტი ნიკოლოზ ნაცვლიშვილი.

კულტურა" არ იციან, ყოველ შემთხვევაში, თითოეული მაგიდიდან ერთმა მაინც. რაც მთავარია, ეჭვი არ გავჩნილა, რომ გაკვეთილები არ უტარდებათ და მასწავლებელი არ მუშაობს.

გაკვეთილის ბოლოს შეფასება დამსწრე მაყურებელმა გააკეთა - ვინ მასწავლებლის მიერ განეული შრომა შეაფასა და აღნიშნა, რომ ის განათლებული, თანამედროვე და გაბედულია (აქამდე არ ვიცოდი, თუ ჩემს, ზაბლონა მასწავლებელსაც თანამედროვე და გაბედული ერქვა - აქედან იქამდე ისწავლთ და ზუთიანს დაგინერთო, სტუმრები მოდიანო, - რომ გვეუბნებოდა! - დ.კ.);

ვინ - უკვე დანიხა, რომ ბავშვები მზად არიან მომავალი ცხოვრებისთვის, მოხარული იყო ბავშვების უკომპლექსობით და ბავშვების თავისუფალი აზროვნება შეაქო (გაკვეთილის რომელ ნაწილში დანიხათ მოსწავლეების თავისუფალი აზროვნება ან, საერთოდ, აზროვნება, ქალბატონო? დიდი-დიდი, ისინი გონებაში თავისუფლად ფიქრს მაინც თუ ბედავდნენ, საქმეს ჯერ კიდევ ვშუღლებს! - დ. კ.);

ვინ - შეფასებას ფიციც მოაყოლა, რადგან ამაყი იყო იმით, რომ მათ იციან თავისი უფლებები და, თავისი მხრიდან, პირობაც დაუდო, რომ დირექციისგან ეს უფლებები

არასდროს არ შეიღახებოდა (დედას გეფიცებით! - დ.კ.);

ვინ - ამ საგნის სკოლებში შემომტანებიც სახელობითად და მადლიერებით მოიხსენია, რადგან ამ პროგრამის შემტანით ბავშვებისთვის სამართლებრივი სახელმწიფო ინყება (ვისთვის - როგორ; გააჩნია, როგორ გაგიმართლებს! - დ.კ.);

ვინ - აღნიშნა, რომ გაკვეთილზე წარმორწდა ანალიზის და კრიტიკული აზროვნების უნარი (მოდას მოუკვდა პატრონი, თორემ, რატომ უნდა ვიცოდე, ან ერთი რა არის ან - მეორე! - დ.კ.);

გამოითქვა სურვილი, რომ პარალელური მერვე კლასებშიც დაიწერგოს ამ საგნის სწავლება (ჯერ შეიცადეთ, დაფიქრდით, ღირს კი?! - დ.კ.)

■ ■ ■

და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ ჩვენებინათ - აი, როგორ ვასწავლთ, ნახეთ, რა ისწავლეს. აჩვენეს, ვერაფერს იტყვი!

აჩვენეს ის, რაც შეძლეს. მათ გულწრფელობაში ეჭვი არ შეგვიტანია, მაგრამ იმის ეჭვი კი გავგიჩნდა, როგორც განათლებაში არამართევისონალებს, მაგრამ ჟურნალისტიკაში თავდაჯერებულ პროფესიონალებს, რომ ამგვარი გაკვეთილები მათ "ჭამრამდე ვერ მიიყვანს" (ციტატა გაკვეთილიდან დ.კ.). ასე არ უნდა ვასწავლოთ.

ინგილო სხადენაბის ბასაჟირი

საქართველოს ძირძველი კუთხე - საინგილო, ირანის შამშამ აბას პირველმა ერთიან საქართველოს შექვიდმეტე საუკუნეში მოსწყვიტა. მაშინ დაიწყო საინგილოს ქართველების გამაჰმადიანებაც. 1921 წლიდან საინგილო აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა. დღეს ამ რეგიონში სამი ქართულენოვანი რაიონია: კახი, ზაქათალა და ბელაქანი.

ნინო ბერაღიძე

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქართულენოვანი უმცირესობის ადამიანური უფლებები ირღვევა. ამას ამბობდნენ "კავკასიურ სახლში" გუშინ შეკრებილი ის ინგილო სტუდენტები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლობენ.

"ჩვენი უფლებები ირღვევა ყოველთვის და ყველგან. პირველ ყოვლისა, მას არღვევს სახელმწიფო - ვართ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები, მაგრამ არ გვიცავს კანონი, - ამბობს საინგილოელი სტუდენტი თემურ აღამამედოვი-იაშვილი, - აზერბაიჯანი ევროსაბჭოს წევრია, პრეტენზია აქვს დემოკრატიაზე, მაგრამ ჩვენ უფლებას არ გვაძლევს, თავისუფლად ვატაროთ ქართული გვარი და ქართული სახელი დავარქვათ ბავშვებს. ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს სახელი არა აქვთ - მშობლებს არ უნდათ მათ აზერბაიჯანული სახელები დაარქვან, ქართულის დარქმევის ნებ-

ას კი არ აძლევენ; ამის გამო, სკოლაშიც ვერ დადიან. თავად აზერბაიჯანელებს ნებისმიერი სახელის დარქმევის უფლება აქვთ. შეზღუდულია რელიგიის თავისუფლება - ბელაქანსა და ზაქათალაში არც ერთი ეკლესია არ ფუნქციონირებს; ეკლესიის ნაგებობები იქ თვალწინ აგვიფეთქეს. ყოველ ნაბიჯზე განვიცდით მორალურ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ქართველს არ შეუძლია, იმუშაოს მაღალ თანამდებობაზე. თუმცა, კახის რაიონში, ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობაა".

დიდია ალბათობა, რომ ზაქათალასა და ბელაქანში ქართული ენა დაიკარგება. ამ რაიონებში ფუნქციონირებს ოთხი ქართული სკოლა, სადაც საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლა აკრძალულია; მეტიც, როგორც სტუდენტები ამბობენ, იქ ამ სახელმძღვანელოების არსებობაც დაუშვებელია.

"არა მარტო სკოლაშია აკრძალული საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა - ამ საგნებში ბავშვების კერძოდ მომზა-



ინგილო სტუდენტები დახმარებას საქართველოს ხელისუფლებას სთხოვენ.

დებაც არ შეგვიძლია. მასწავლებლებიც ამ საგნების სწავლებას გაბედავს, შეიძლება დაიჭი-

რონ, - ჰყვება სტუდენტი ლამა მუსაევი-მოსაშვილი, - ვისაც თბილისის უმაღლეს მასწავლებლებში სწავ-

ლის სურვილი გვაქვს, ეს დიდ შეფერხებას გვიქმნის. უფრო დიდი პრობლემა სწავლასთან დაკავში-

რებით მაშინ წარმოიქმნა, როდესაც სამივე რაიონისთვის ერთდროულად გამოიყო ლიმიტები. ადრე ცალ-ცალკე ვიღებდით: 35 - კახის რაიონს, 35 - ზაქათალასა და ბელაქანს. ახლა ლიმიტების რაოდენობამაც იკლო - სულ 50-ია. ამ ლიმიტით კახის რაიონის აბიტურიენტები ისარგებლებენ, რადგან ჩვენ არ ვართ ისე მომზადებული, რომ მათ კონკურენცია გავუწიოთ. ასე დერჩებით განათლების გარეშე და ეს ამ ორ რაიონში ქართული ენის გადაშენებას გამოიწვევს. ვთხოვთ განათლების მინისტრს კახა ლომიას, არ შეცვალოს ლიმიტების ადრინდელი რაოდენობა და განაწილების იგივე მეთოდი".

საინგილოელი სტუდენტები კიდევ ერთხელ სთხოვენ საქართველოს ხელისუფლებას, მოსთხოვოს აზერბაიჯანის მთავრობას, დაიცვას ქართულენოვანი მოსახლეობის კანონიერი უფლებები; მათზეც გაერცვლდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კოდექსი; ქართული სახელის და გვარის ტარების ნება დართონ; სურვილისამებრ, მიღონ საქართველოს მოქალაქეობა და ჰქონდეთ რელიგიური თავისუფლება. სტუდენტებს იმედი აქვთ, რომ მათ მოთხოვნებს ახალი ხელისუფლება უყურადღებოდ არ დატოვებს.

ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამის ცვლილებები, რომელთაც განათლების სისტემის რეფორმა გულისხმობს, საზოგადოების მძაფრ ინტერესს იწვევს და ეს საკითხი მთი გასაგებია - ყველა გრძნობს და ხედავს, რომ სინამდვილეში საქმე ეხება არა უბრალოდ ერთ-ერთ სასწავლო საგანს, არამედ იმას, თუ რამდენად შეუძლებთ ჩვენი ეროვნული იდეენტობის შენარჩუნებას და გამყარებას გლობალიზაციის გარდაუვალ პროცესში. ლიტერატურა ქართული კულტურის შუაგულია, საქართველო, ტრადიციულად, "ლიტერატურა-ცენტრისტიკული" ქვეყანაა და თუ მომავალი თაობები გავლდრილდებიან ქართული ლიტერატურისადმი, ეს უკიდურესად გააღარიბებს და გაუუსახურებს ქართველი ადამიანის ცნობიერებას. არსებითად, ეს დაამორჩებს მას მსოფლიო ლიტერატურას, საერთოდ, კულტურასაც, რომე-

ლსაც ბუნებრივად უკავშირდება სწორედ საკუთარი ლიტერატურის წყალობით - ვისთვისაც შინაგანად ახლობელია რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა ან გალაკტიონი, მისთვის შორეული, უცხო და მიუწვდომელი არ შეიძლება იყოს ჰომეროსი, შექსპირი, პუშკინი ან რილკე...

ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ქართული კულტურის დაცვა და გაძლიერებაა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურის, ტრადიციულად, მაღალი სტატუსის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად იმ პირობებშიც (და მით უმეტეს, იმ პირობებში), როცა ეს სტატუსი მსოფლიოში ქვეითდება. ქართული სახელმწიფოს სრულფასოვნების და სიმყარის გარანტიად ისიც უნდა იქცეს, რომ ქართველი ხალხი უუქონსად იცნობდეს საკუთარ კულტურას, რომ მისი სულიე-

რი ცხოვრების დონე ამ კულტურის დონეს ასე თუ ისე ეთანადებოდეს.

ლიტერატურის სასკოლო პროგრამის ცვლილებათა მიზანიც, ბუნებრივია, ის უნდა იყოს, რომ ქართველმა ბავშვებმა, მოზარდებმა ქართული ლიტერატურის შესწავლა შეიძენონ, მასთან უფრო ციცხალი და გულწრფელი ემოციური კავშირი დაამყარონ, ანუ უფრო მეტად შეიყვარონ იგი და, ამგვარად, უფრო უნდა აიგოს ისე, რომ თითოეულმა კლასში ლიტერატურაში შედარებით ღრმად მხოლოდ ის შეიძლება ვიცოდეთ, რაც გვიყვარს.

ბოლდორინდელი დისკუსიებიდან ჩანს და მანამდეც საიდუმლოებად არ წარმოადგენდა, რომ განსაკუთრებით პრობლემური სკოლაში ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება - მეცხრეკლასელ, თოთხმეტი წლის ბავშვებს უჭირთ ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე აგიოგრაფიული ნაწარმოების, "ვეფხისტყაო-

ნისი", "სიბრძნე სიცრუისას", "დავითანის" სრულფასოვნად შესწავლა, რაც სერიოზული ენობრივ-კულტურული ბარიერების გადალახვას გულისხმობს. ამის შედეგია მოსწავლეთა სულ უფრო მზარდი გაუცხოება ლიტერატურის პროგრამისადმი.

გამოსავალი ამ ვითარებიდან, ჩემი აზრით, შეიძლება ასეთი იქნას - სკოლის მაღალი კლასებისთვის ქართული ლიტერატურის პროგრამა უნდა აიგოს ისე, რომ თითოეულმა კლასში ლიტერატურის კურსი, ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, მოიცავდეს ქართული მწერლობის ყველა პერიოდის ნიმუშებს - ძველისას, ახლისას და უახლესისას. ამით გამოირიცხება ერთ კლასში ძველი ქართული ლიტერატურის კონცენტრება და იგი რამდენიმე კლასზე განაწილდება. ეს კი გაუადვილებს მოსწავლეებს მის ადევკატურ აღქმას და გააზრებას. სკოლაში ძველი ქარ-

თული ლიტერატურის ნიმუშების დაძლევა ადამპტირების გარეშეც საკუთარი შესაძლებელია, თუ ამ ნიმუშების მოსაძლევებს არავრთობამდე, "დიზოლებს" ვასწავლით - ვთქვათ, მეცხრე კლასში "შუშანიკის ნამებას", მათივე - "აბოს ნამებას", მეთერთმეტეში - "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას", "ვეფხისტყაოსნის" ტექსტებს მოსწავლეები შეიძლება გაეცნონ მეათე კლასში, ხოლო მისი ანალიტიკური დამუშავება მეთერთმეტე კლასში მოხდეს; "ქართლის ჭირი" მოსწავლეებმა შეიძლება მეცხრე კლასში ისწავლონ, გურამიშვილის რთული რელიგიური ჰიმნები კი, ასაკის და ინტელექტუალური შესაძლებლობების მატების კვალდაკვალ - მეათე-მეთერთმეტე კლასებში. საერთოდ, მე მჯონია, ლიტერატურის პროგრამა ასაკის შესატყვისად უნდა რთულდებოდეს მოსწავლეებს მის ადევკატურ აღქმას და გააზრებას. სკოლაში ძველი ქარ-

ტრატურას არ ეხება. მაგალითად, ბუნებრივი იქნება, თუ ბართაშვილის "სული ობოლი", "ფიქრი ნიტყვრის პირას", "მერანი" სირთულის მიხედვით განაწილდება სწავლების ერთმანეთს მიყულებულ საფეხურებზე. იგივე უნდა ითქვას უფა-ფშაშველას, გალაკტიონ ჭაბჭიძის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა პოეტების თუ პოზა-იკოსების ნაწარმოებთა შესახებ.

პროგრამის ასე აგება ლიტერატურის შესწავლის გაღრმავებას მუყნობდა ხელს, უფრო მაყოფიოდ დაინახება მოსწავლეებს ქართული ლიტერატურის მთლიანობასაც და მრავალფეროვნებასაც; უფრო საინტერესოს, მიმზღველს გახდოდა მათთვის ქართულ მწერლობას და დაიცავდა მათ ლიტერატურის ნამდვილ განცდასთან და შეცნობასთან შეუთავსებელი ისეთი უარყოფითი ემოციებსაც, როგორიცაა მოწყენა, მოუბზრება.

თამაზ ვასაძე

როგორ უნდა მოიქცაო, თუ თქვენ სამსახურიდან დაბრუნვას

ეს არის სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება; დაწესებულებისთვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის სამიშროების ბრალეული შექმნა; ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელის და დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი. ამ სამიდან ერთ-ერთი გადაცდომის არსებობამ, შესაძლოა, თქვენი სამსახურიდან გათავისუფლება გამოიწვიოს, თუ თქვენ მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინარული პასუხისმგებლობის სხვა ზომა (შენიშვნა, გაფრთხილება, ხელფასის დაკავება და სხვა). დისციპლინარული პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე მოხელის გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზეზეა სამსახურებრივი მოვალეობების უბეში დარღვევა.

ზემოთ უკვე აღვინიშნეთ, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება სხვა შემთხვევებშიც არის შესაძლებელი, თუმცა, ჩვენ მხოლოდ ყველაზე პრობლემატურ საკითხებს შევხები, რადგანაც, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შრომითი დავები სწორედ რეორგანიზაცია-ლიკვიდაციასა და დისციპლინარულ გადაცდომას უკავშირდება.

ბ) შრომის კანონთა კოდექსი

შრომის კანონთა კოდექსით სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლს წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, მუშის ან მოსამსახურის საქმიანობის შეწყვეტა, მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირება.

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია: მხარეთა შეთანხმება; ხელშეკრულების ვადის გასვლა; შრომის ხელშეკრულების მოძლა მუშაკის ან ადმინისტრაციის ინიციატივით; მუშაკის თანხმობით მისი სხვა სამუშაოზე ან თანამდებობაზე გადასვლა; და სხვა.

გახსოვდეთ: თუ შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შრომითი ურთიერთობა ფაქტიურად გრძელდება და მისი შეწყვეტა არც ერთმა მხარემ არ მოითხოვა, ხელშეკრულების მოქმედება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

თუ თქვენ გაქვთ დადებული შრომის ხელშეკრულება **განუსაზღვრელი ვადით** და მაინც გსურთ, შეწყვიტოთ შრომითი ურთიერთობა კონკრეტულ დაწესებულებასთან, ასეთ შემთხვევაში, ორი კვირით, საპატიო მიზეზის არსებობის შემთვევაში კი - სამი დღით ადრე წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოთ ადმინისტრაციას. რაც შეეხება საკუთარი ინიციატივით **ვადიანი შრომის** ხელშეკრულების მოშლას, ეს დასაშვებია, პირველ რიგში, ადმინისტრაციის მხრიდან შრომის კანონმდებლობის ან ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ასევე, ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზების არსებობისას.

კანონმდებლობა უფრო დეტალურად განიხილავს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას ადმინისტრაციის ინიციატივით, ანუ, თუ თქვენ უფლება გაქვთ, **საპატიო მიზეზების** გამო შეწყვიტოთ შრომის ხელშეკრულება, ადმინისტრაცია ასეთი ფართო უფლებამოსილებებით არ სარგებლობს.

ადმინისტრაციას თქვენთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლია, თუ:

ხდება საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა), ან მცირეებს მუშაკთა რიცხოვნობას და შტატებს; გაშვებულად, რომ თქვენ არ შეესაბამებით დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის, ანდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; სისტემატურად არღვევთ შრომის ხელშეკრულებას (კონტრაქტს) ან შრომის შიზგანანესს, ან სამუშაოს აცდენთ არასაპატიო მიზეზით, თუ თქვენ მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინარული მოქმედების ღონისძიები; დროებითი შრომისუწნარობის გამო, სამუშაოზე არ ცხადდებით ზედზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მოცემული შევბულების ჩათვთვლად); აღნიშნული ოთხთვიანი ვადა არ ვრცელდება შრომითი დასაბრუნებასა და პროფესიულ დაეადებათა დროს, აგრეთვე, იმ დაავადებებზე, რომლის სამკურნალოდაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ უფრო ხანგრძლივი ვადაა დაწესებული;

თქვენ სასამართლომ, თავისი გადაწყვეტილებით, სამუშაოზე ადგადინათ, მაგრამ მაშამდე თქვენს ადგილზე ხელმძღვანელობამ სამუშაოდ სხვა თანამშრომელი აიყვანა, ადმინისტრაცია გააუდგებოთ, თქვენ აღგადგინოთ ძველ თანამდებობაზე, ხოლო თქვენს ადგილას მიმუშავე პირი, მისი თანხმობით, გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე.

თუ თქვენ სამსახურში გამოქცხადით არაფხიზელ მდგომარეობაში, ანდა ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ სამუალებათა ზემოქმედების ქვეშ;

სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლითაც მსჯავრდებული ხართ თავისუფლების აღკვეთით (გარდა პირობითი მსჯავრისა და განაჩენის აღსრულების გადადგმისა), ან სხვა სასჯელით, რომელიც ამ სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობას გამორიცხავს;

იმ მუშაკის ბრალეული ქმედების გამო, რომელიც პასუხისმგებელია ფულად ან სასაქონლო ფასეულობებზე, თუ ეს ქმედება ადმინისტრაციის მხრიდან ქმნის მის მიმართ წდობის დაკარგვის საფუძველს, ანდა სამუშაო ადგილზე ქონების დატაცებისას (მათ შორის, წვრილმანი დატაცების დროსაც), რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ან იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის კომპეტენციაშიც შედის ადმინისტრაციული სახდლის დაცვა;

სასამართლოს გადაწყვეტილებით სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში თქვენი იძულებით გაგზავნის გამო;

დადგენილი წესით თქვენი ქმედუწნაროდ აღიარების გამო;

იმ მუშაკის მიერ ამორალური გადაცდომის ჩადენის გამო, რომელიც აღმზრდელობით ფუნქციებს ასრულებს (მაგალითად, მასწავლებელი) და რაც შეუთავსებელია მუშაობის გაგრძელებასთან;

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გახსოვდეთ: დაუშვებელია შევბულების ან დროებითი შრომისუწნარობის დროს თქვენი სამსახურიდან დათხოვნა! გამონაკლისია დროებითი შრომისუწნარობის გამო ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სამუშაოზე გამოუცხადებლობა.

შრომის კანონმდებლობა ადმინისტრაციას მის მიერ შრომის ხელშეკრულების შეყვეტისას გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს - თუ თქვენს დაწესებულებაში არსებობს პროფკავშირი, შრომის ხელშეკრულების მოშლის დროს პროფკავშირის თანხმობის არსებობა საკადლებულია.

პროფკავშირის თანხმობის გარეშე შრომის ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ სამ შემთხვევაში: საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციისას;

თუ სამუშაოზე მიღებისას დაწესებული გამოცდის შედეგები არადამაკმაყოფილებელია;

თუ შეთავსებით მუშაობისგან დათხოვნა ხდება ამ თანამდებობაზე სხვა მუშაკის არაშეთავსებით მიღებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, შეთავსებით სამუშაოსთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვათა გამო.

პროფკავშირის თანხმობას არ საჭიროებს იმ მუშაკებთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, რომლებსაც ირჩევენ, ატყუიცივენ ან ნიშნავენ თანამდებობაზე საზელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის ორგანოები, აგრეთვე, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებები.

სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება

მართალია, მუშაკთა რიცხოვნობისა და შტატების შეცირებისას თქვენი სამსახურიდან გათავისუფლება ადმინისტრაციის იციატივით დასაშვებია, მაგრამ ასეთ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა გარემოება. კერძოდ:

სამუშაოზე დარჩენისას უპირატესობა უნდა მოგენიქოთ იმ შემთხვევაში, თუ უფრო მაღალ კვალიფიკაციითა და შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევიტ. თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში კი:

თუ ხართ ოჯახის მუპატრონე - თუ კმაყოფაზე გყავთ ორი ან მეტი პირი;
ხართ მარტოხლა დედა და გყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვი;
თუ თქვენ გარდა ოჯახში არ არის დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე სხვა ადამიანი;
თუ თქვენ ამ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში მუშაობის უფრო ხანგრძლივი სტაჟი გაქვთ;
ხართ ომისა და სამხედრო ინვალიდი;
ხართ იმ ოჯახის წევრი, რომლის მარჩენალიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა;
ხართ გამოპოვებული;
თუ თქვენ ამ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში მუშაობისას დასახიჩრდით ან მიიღეთ პროფესიული დაავადება.

სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით (განკარგულებით, დადგენილებით).

თუ თქვენ ხართ საჯარო მოსამსახურე, ერთი თვით ადრე უნდა გეცნობოთ სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი და დრო. თუ თქვენი გათავისუფლების საფუძველი ხანგრძლივი შრომისუწნარობაა, გათავისუფლების შესახებ წერილობით ორი კვირით ადრე მაინც უნდა შეგატყობინონ.

შრომის კანონთა კოდექსის თანახმად კი, გათავისუფლების შესახებ უნდა გეცნობოთ პრესონალურად ორი თვით ადრე მაინც და ეს შეტყობინება თქვენ ხელმოწერით უნდა დაადასტუროთ.

კომპენსაცია სამსახურიდან გათავისუფლების შემთვევაში

საქართველოს კანონმდებლობა სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში აწესებს გარკვეულ შეღავათებს, რათა არ ჩავარდეთ უკიდურესად მძიმე პირობებში და გარკვეული პერიოდის განმავლობაში გქონდეთ არსებობის მინიმალური საშუალება.

"შრომის კანონთა კოდექსის" შესაბამისად, საწარმოდან, დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან მათი ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, მუშაკთა რიცხოვნობის, შტატების შემცირების გამო გათავისუფლებულ პირებს (შრომის ხელშეკრულების შეწყვეტი-

სას) უნდა მიეცეთ გასასვლელი დახმარება ერთი თვის ხელფასის ოდენობით. გარდა ამისა, მათ უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომითი მონყობამდე, მაგრამ არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში. დამატებით უნარჩუნდებათ შრომითი სტაჟი, თუ დათხოვნის შემდეგ წყვეტილი მუშაობის ხანგრძლივობა არ აღემატება სამ თვეს.

რაც შეეხება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონს, მასში 1341 მუხლის სახით პარლამენტს პერიოდულად შეაქვს ცვლილება, რომლის თანახმადაც, 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებულებიდან კუთვნილო თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციებისა) გაცემა უნდა განხორციელდეს დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. აღნიშნული გულისხმობს "საქართველოს ბიუჯეტის შესახებ" კანონით გათვალისწინებულ დაცულ მუხლებს და ცვლილებაში ფრჩხილებით გამოყოფილი "გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციების" ნიშნავს იმას, რომ ეს დაცული მუხლები არ გავრცელდება სამსახურიდან დათხოვნილი მოხელეების კომპენსაციებზე, რაც, სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, კუთვნილი ორი თვის ხელფასის აუღებლობის საფუძველი ხდება.

შრომითი დავები

თუ თქვენ თვლით, რომ სამსახურიდან კანონის დარღვევით გაგათავისუფლეს, შეგიძლიათ, თქვენი გათავისუფლების შესახებ ბრძანება სხვადასხვა ინსტანციამ გაასაჩივროთ.

შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, შრომის დავის განხილველი ორგანოებია:

შრომის დავის კომისიები;
საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირები;
რაიონის (ქალაქის) სასამართლოები.

შრომის დავის კომისია აუცილებელი პირველადი ორგანოა, რომელიც განიხილავს დაწესებულებაში წარმოქმნილ შრომით დავას, ერთი მხრივ, მუშა-მოსამსახურეებსა და მეორე მხრივ, დაწესებულების ადმინისტრაციას შორის.

შრომის დავის კომისიები იქმნება დაწესებულებებში პროფკავშირებისა და ადმინისტრაციის თანაბარი მონაწილეობით. თუ დაწესებულებას არ ჰყავს პროფკავშირი, მაშინ შრომის დავის კომისია იქმნება პროფესიული კავშირის ორგანიზატორისა და დაწესებულების ხელმძღვანელის შევეგობით.

შრომის დავის კომისიაში განცხადებათა მიღებას აწარმოებს პროფკავშირი. კომისია ვალდებულია, თქვენი განცხადება ხუთი დღის ვადაში განიხილოს. თუ შრომის დავის კომისიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება (ვერ შეთანხმდნენ პროფკავშირისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები), თქვენ უფლება გაქვთ, კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერის ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში, დავის გადასაწყვეტად მიმართოთ პროფკავშირს. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია, გამოიტანოს დადგენილება დავის არსის გამო.

მოყვანილი ინსტანციების გავლა არ არის სავალდებულო მუშა-მოსამსახურის მიერ, მაგრამ კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის დავის განხილველი კომისიები კომპეტეტდება პარიტეტულ საწყისებზე და მასში თანაბრად არიან როგორც ადმინისტრაციის ინტერსების, ისე მუშაკის ინტერესების დამცველნი პროფკავშირის სახით.

პროფკავშირი არის საქმიანობის მიხედვით საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა წმყაყოფილებითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია მისი წევრების შრომითი, სოციალ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა თუ ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა. ამდენად, ეს ორგანო თქვენი უფლებების დასაცავად ძალზე ეფეტტურ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, რადგან "შრომის კანონთა კოდექსით", მას საქმოდ ფართო უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული.

თქვენ, ასევე, უფლება გაქვთ, შრომითი დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავის განსახილველად პირდაპირ მიმართოთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს. ამ შემთხვევაში, უმთავრესია, თქვენ მიერ არ იქნეს გაშვებული გათავისუფლების შესახებ ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გასაჩივრების ვადები.

თუ თქვენ ხართ საჯარო მოსამსახურე, გათავისუფლების შესახებ ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გასაჩივრების ვადა ათთველმა ბრძანების გამოცემის დღიდან და ეს ვადა შეადგენს ერთ თვეს. ხოლო "შრომის კანონთა კოდექსის" 204-ე მუხლის თანახმად, დათხოვნის შესახებ ბრძანების გასაჩივრების გამო სასამართლოს უნდა მართონ მათთვის ამ ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

გახსოვდეთ: თქვენი გათავისუფლების ბრძანების სასამართლომ გასაჩივრების შემთხვევაში, თქვენ სასამართლო ხარჯებისგან თავისუფალი ხართ.



მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით



მაცნოიარაბის რეფორმა წინაა

ენო ცინსაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტების დაარსება და ლიკვიდაცია აკადემიის პრეროგატივას წარმოადგენს.

კავკასიიდან ტრანსპორტირება ძვირი ჯდება. სომხეთმა ეს გაითვალისწინა და პრიორიტეტად ძვირფასი ქვების დამუშავება აირჩია. ჩვენ კი 97 პრიორიტეტი გვაქვს.

“მთავარია, არ იყოს ბუნტი”, – პოსტკომუნისტური საქართველო მთელი ათი წლის განმავლობაში სწორედ ამ პრინციპით იმართებოდა. არც ერთ დარგში რეალური რეფორმა არ გატარებულა. ყოველი მათგანი საბჭოური მართვის მექანიზმებით აგრძელებდა არსებობას, თუმცა, არა კომუნისტურ გარემოში, ყველა იმ დაბაიანისა თუ სამსახურის რეალურად დაფინანსება, რაც არსებობდა, სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა. ხელფასი ვითომ კი იზრდებოდა, მაგრამ ამ ხელფასის მსყიდველობის უნარი დღითი-დღე იკლებდა. ამ ხელფასს “საინფორმაციო ღრუში” რამდენიმე თვის დაგვიანებით გეტყვინდნენ და ამით, თითქოს, ბუნტის საშუალებას მოიძებნენ. მაგრამ ბუნტი მაინც მოხდა და მერე როგორი! რეალური რეფორმებისთვის დღევანდელი მთავრობა თითქოს მზად არის, მაგრამ საწყის ეტაპზე ყველა ცვლილებას ბევრი წორი და მითქმა-მოთქმა მოჰყვება ხოლმე. რა ელის რეალურად მეცნიერებასა და მეცნიერებს? ამ თემაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, ბატონ სანდრო დიდებულის ეს ვესაუბრებით.

გარდა იმისა, რომ ბატონი სანდრო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეა, იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრიცაა. არის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 14 ქვეყნის 35 პაქეტის ავტორი.

- ამ ბოლო დროს თითქმის ყველა სამეცნიერო ინსტიტუტში თანამშრომლები მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, რა მოელოთ. ვერსიები მრავალგვარია, დაწყებული იქიდან, რომ ყველა ინსტიტუტი უნდა დახვროთ, დამთავრებული იმით, რომ სამინისტროში ყველა იტყვევოს ხარ და ამერიკის დაკვეთას ასრულებთ. რატომ ხდება ასე?

- ამის ახსნა არც ისე ძნელია. ყოველი რეკლამის შემდეგ საზოგადოება ელოდება ხელისუფლებისგან ახალი, რადიკალური რეფორმების განხორციელებას; ცხადია, ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებაც ამგვარი რეფორმების მოლოდინშია. გვესმის, რომ აუცილებელია იმ ვარდის შეჩერება, რომელიც სრულად აშკარად გამოიკვეთა, თუნდაც, მეცნიერთა რაოდენობის მკვეთრ შემცირებაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტების დაარსება და ლიკვიდაცია აკადემიის პრეროგატივას წარმოადგენს. რაც შეეხება იტყვევებთან ჩემს იდენტიფიკაციას, უნდა გამოვსტყდეთ, რომ დღემდე არ მქონდა საშუალება, გავცნობიდი მათ მოძღვრებასა და, მით უმეტეს, მათ პოზიციას განათლებისა და მეცნიერების მიმართ; ამავე დროს ვიცი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა ჩვენი ქვეყნის განვითარებისადმი, რომელიც საბაძირითად მიზანს ისახავს: 1) ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა; 2) ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა; 3) ეროვნული უშიშროების გაძლიერება. შეიძლება ეს დაკვეთად ჩაითვალოს? ისე კი, ჩვენ უფრო მეტად ევროპული დაკვეთის მერსილებზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებული, რადგან იწყება ქვეყნის რეალური ევროპული ინტეგრაციის პროცესი. ცხადია, ამისთვის აუცილებელი იქნება რეფორმები, რომლებიც მეცნიერთა, ხელისუფლების წარმომადგენელთა და საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით უნდა გატარდეს.

- რადგან ასეთი გაუვებრობები მაინც არსებობს, ნუთუ არ შეიძლება ყველა დაწესებულებამ გაიგოს ხალხს მოკლედ დაწერილი პროექტი ან გეგმა იმისა, თუ რის განხორციელებას აპირებთ?

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფორმირება განათლების სამინისტროს ბაზაზე მხოლოდ ახლა იწყება. 12 მაისს გახდა “საქართველოს რესპუბლიკაში” გამოცხადდა კონკურსი 150-ზე მეტი ადგილი და, იმედი გვაქვს, სამინისტრო ინიციატივით, ენერგიით და კომპეტენტური კადრებით გაძლიერდება. ეს პროცესი ივლისში დასრულდება, რის შემდეგაც ინიციატივას გავცალა და პრიორიტეტული მუშაობა უფრო გააძლიერდება.

- რას ნიშნავს მეცნიერებათა აკადემია გადამდის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში?

- ყოველი დაწესებულებისთვის, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, როგორც უმაღლესი თვითმართვადი სამეცნიერო სახელმწიფო დაწესებულებისთვის, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მისი სამართლებრივი სტატუსის ზუსტ განსაზღვრას, რაც მოხდა კიდევ “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ” კანონის საქართველოს პრეზიდენტის



სანდრო დიდებულის

მიერ ხელმოწერასთან ერთად 1999 წლის 22 ივნისს. მაგრამ აკადემიისთვის არანაალებ მნიშვნელოვანია ამ კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული მისაღები ნორმატიული აქტები, მათ შორის, მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა.

მე იურისტი არა ვარ, მაგრამ ვეცდები, გვიასუზოთ. “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ” კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად აკადემია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აგრეთვე დამატებითი წყაროებიდან. ამავე დროს საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 16 ივლისის N353 ბრძანებულებით დამტკიცდა “სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამიშუბო წესდება”, სადაც მოყვანილია, რომ “სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არის საქართველოს ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულების (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ან სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.) ძირითადი სამეცნიერო ერთეული, საჯარო სამართლის იურიდიული პირი”. რადგან “საქართველოს მთავრობის სახელმწიფო კონტროლი შეიძლება განხორციელოს მხოლოდ სამინისტროში”, გაუვებრობის თავიდან ასაცილებლად ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა წინადადებები, რომელთა შესაბამისად უფრო დახასიათებული დაწესებულებების სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ჩვენი სამინისტროს ევალება.

- რა ელის მეცნიერებას თქვენი სამინისტროს მიერ განხორციელებული კონტროლის ფარგლებში?

- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაახლოებით ნახევარი არ შედის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. სამინისტროს უმთავრეს ამოცანას ქვეყანაში მეცნიერების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება, განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის უზრუნველყოფა, მეცნიერთა სოციალური დაცვა წარმოადგენს; აი, ჩამონათვალი იმ 97 პრიორიტეტული დარგისა, რომელიც 2000 წელს არის შემუშავებული. დიდი სამუშაო ჩატარდა, მაგრამ ხომ უნდა გავგვესაზღვრა, რომელია პირველი, რომელი თითქმისდამეჩვიდებტ? თუ სახელმწიფო შეიძლება, თითქმისდამეჩვიდებტ პრიორიტეტი დაფინანსოს, კარგია, მაგრამ ეს არ ხერხდება ქარბი ბიუჯეტის მქონე ქვეყნებშიც კი. ფინანსი, მაგალითად, პრიორიტეტებზე აირჩია უახლესი ტექნოლოგიები: მობოლური კავშირგაბმულობა და საკაბელო ტექნიკა. ასეთ სისტემაში საქართველო დარგის მეცნიერთა და ინჟინერთა ერთობლივი მუშაობა. თანაც, გათვალისწინებულია ისიც, რომ მობოლური ტექნოლოგიების ტრანსპორტირება იაფია. ფინეთი, ისევე როგორც საქართველო, ევროპის განაპირა ქვეყანაა და ძირითადი მომხმარებლებისგან შედარებით შორს იმყოფება. კავკასიიდან ტრანსპორტირება ძვირი ჯდება. სომხეთმა ეს გაითვალისწინა და პრიორიტეტად ძვირფასი ქვების დამუშავება აირჩია.



სანდრო დიდებულის

დღეს გადაუდებელია ფუნდამენტური კვლევების იმ რამდენიმე მიმართულების განსაზღვრა, სადაც ჩვენ ექსტრემულურად დაბალი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებშიც კი შევძელია მივიღოთ მსოფლიო დონის შედეგები ან მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი. რასაკვირველია, კონკურსგარეშეა ჩვენი მეცნიერების ისეთი სტრატეგიული პრიორიტეტები, როგორიცაა სინთეზისა და კავკასიური ხალხების ისტორია, არქეოლოგია და ეთნოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, ფოლკლორისტიკა, საქართველოს გეოგრაფია, ჩვენი ქვეყნის აგრარული და ეკოლოგიური პრობლემები და ა.შ. სამეცნიერო შემოსავლების გასაზრდელად მაქსიმალური სისწრაფით უნდა განვითაროთ მცირე მეწარმეობა. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი მეწარმე ძალზე დინამიკურია. მრავალმა უმსხვილესმა ფირმამ სწორედ ამ ეტაპიდან დაიწყო თავისი საქმიანობა. მცირე ბიზნესი მზად არის, ნავედეს რისკზე და ახალი, ნაკლებად აპრობირებული იდეები განახორციელოს.

თუ 1990 წელს მეცნიერებაში დასაქმებული იყო 25,2 ათასი ადამიანი, 2002 წელს მათი რაოდენობა 15,2 ათასამდე შემცირდა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა რაოდენობა უმნიშვნელოდ შემცირდა, რაც მეცნიერების განვითარებას და მეცნიერების სფეროში მუშაობის ხარისხის ზრდას უწყობს. თუმცა, პირადად მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ მიზანშეწონილია დისკრეტაციის დაცვის პროცედურის გამარტივება და გააღვივოს ელექტრონული ფოსტის არსებობის პირობებში და ჩვენი ჩვეულებრივი ფოსტის მუშაობის ხარვეზების გათვალისწინებით შედგებია უცხოურ ენაზე ცალკე ავტორიზაციის დაბეჭდვა და ა.შ.

- რა უნდა გაკეთდეს ამ პროცესის შესაჩერებლად?

- ამას ემსაზურება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით დაწესებული და ძირითადად მისივე ძალებით ჩასატარებელი სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა ატესტაცია, რომელიც “მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ” კანონის ეტაპობრივი ამოქმედების ფონზე უნდა განხორციელდეს. ინსტიტუტების დიდი ინტელექტუალური პოტენციალი მთელი მოცულობით უნდა გამოვიყენოთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ატესტაციის ინსტიტუტების ქსელის ოპტიმიზაცია და მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოსვლა მოჰყვება. დაუშვებელია ნამდვილ მეცნიერთა ამ სფეროდან ნაღვინა, აუცილებელია თითქმისდამეჩვიდებტ თუ სახელმწიფო დაწესებულებების მიხედვით გაზრდა.

- რა პრინციპით ჩატარდება ატესტაცია? არსებობს მისარგება, რომ ატესტაციის უზრუნველყოფის საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭო - სესი-როგორც ჩემთვის ცნობილია, დაგეგმიური ცვლილებები სესის მიმართულებითია. როგორ შეეწყობა ეს ორი რამ ერთმანეთს?

- შიდასინისტრუტო ატესტაცია და ინსტიტუტების თვითმართვასა უკვე მიმდინარეობს; მრავალ ინსტიტუტში ნაკლებად აქტიური მეცნიერები სხვა თანამდებობებზე გადაიყვანეს ან სულაც გაათავისუფლეს. საქართველოს პრეზიდენტის 23 აპრილის ბრძანებულებით იწყება მეორე ეტაპი - მთლიანობაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დაქვემდებარებას.

- რა შეეხება სეს-ს: ეს არის საქართველოს პრეზიდენტის განცხადებული პრეზიდენტის განცხადებით, რომელიც კომპეტენციის განკუთვნილია მეცნიერთათვის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების მიზნით.

- როგორც ვიცი, ისინი, ვინც ატესტაციის წარმადებით გაიჯიან, ხელფასები მოემატებათ. ვის ხარჯზე? მათ ხარჯზე, ვინც ვერ გაიგოს? რა ელით მათ, ვინც ატესტაციას ვერ გაიგოს, თუ არის მათთვის განსაზღვრული რაიმე სოციალური დაცვა?

- 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ხარჯები როგორც ატესტაციის ჩატარებაზე, ისე ატესტაციისგანგაღობის მიზნებზე. ატესტაციის ჩატარების პრეზიდენტთან შექმნილი სათათბირო ორგანო - საატესტაციო კომისია, რომელიც ყოველმა საბიუჯეტო ინსტიტუტმა უნდა შეიტანოს განაცხადი

ატესტაციის ჩატარების შესახებ. მაღალი შეფასებით ატესტაციისგანგაღობი ორგანოში კომპეტენციის განკუთვნილია მეცნიერთათვის სამეცნიერო-პედაგოგიური ნიშნების მიკუთვნება. მისი კომპეტენცია არ ვრცელდება ინსტიტუტების ატესტაციის ჩატარებაზე და მეცნიერთა მიერ თანამდებობის დაკავების წესებზე, საკვალიერაციო მოთხოვნებსა და თანამდებობრივ მოვალეობებზე. რაც შეეხება ცვლილებებს, მეცნიერების რეფორმების ამ ეტაპზე სესის ორგანოსგანგაღობ-სამართლებრივი ფორმისა და დაქვემდებარების შეცვლა არ არის გათვალისწინებული. მე 2002 წლიდან 5 წლის განმავლობაში სესის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი და ამიტომაც მტკივნეულად აღვიქვამ სესის ზოგჯერ სრულად დაუმსაზრებელ კრიტიკას. თუმცა, პირადად მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ მიზანშეწონილია დისკრეტაციის დაცვის პროცედურის გამარტივება და გააღვივოს ელექტრონული ფოსტის არსებობის პირობებში და ჩვენი ჩვეულებრივი ფოსტის მუშაობის ხარვეზების გათვალისწინებით შედგებია უცხოურ ენაზე ცალკე ავტორიზაციის დაბეჭდვა და ა.შ.

- როგორც ვიცი, ინსტიტუტებში მომუშავე ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი, იმ შემთხვევაში, თუ ატესტაციის ვერ გაიგოს, მზადია, სახლში წავიდეს, თუ ხელფასის 80%-ს მაინც მიიღებს, როგორც ეს “მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ” კანონში იყო განსაზღვრული.

- ყველაფერი ჩატარდება, ისე როგორც ეს კანონშია მოცემული. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ, როდესაც კანონი იწერებოდა, არ შესწავლილა ის, თუ რა სურათს მივიღებთ ატესტაციის შემდეგ. შესაძლებელია აზრით, ატესტაციის ვერ გაიგოს ინსტიტუტების 80%, ოპტიმისტები კი ამბობენ, რომ მხოლოდ 20%. ატესტაციის შემდეგ მსჯელობა უფრო ადვილი იქნება. არ უნდა დავავიწყდეს, რომ განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერების 50%-სა და მეტსაც კი მეწარმეები აფინანსებენ. სამწუხაროდ, ჩვენიანა ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ შემუშავებულია ვილაპარაკოთ მეცნიერების რეალურ წინსვლაზე მთლიანი ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღების გარეშე.

- როგორ განისაზღვრება ზღვრული და სახელისო ასაკი?

- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული ინსტიტუტების სამიშუბო დებულების შესაბამისად, უმცირესი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს მაქსიმალური 75 წლის ასაკამდე. ბევრი ნიუენსია პენსიითან დაკავშირებით, რომელსაც ინტერვიუთი ვერ გაითვალისწინებ. მაგრამ მთავარია - 2005 წლის 1 იანვრიდან ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მეცნიერები გაზრდილი პენსიებით.

- საქართველოში დღეს მეცნიერებათა აკადემიის და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 61 აკადემიკოსი და 65 წევრ-კორესპონდენტი, ყოველი მათგანი ამისთვის ხელფასს იღებს. შეიცვლება თუ არა რაიმე მათთვის ამ თვალსაზრისით?

- ჩვენ გვყავს ორი სახელმწიფო აკადემიის 96 ნამდვილი წევრი და 88 წევრ-კორესპონდენტი. “მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ” კანონის შესაბამისად, 2005 წლის 1 იანვრიდან აკადემიკოსის სამისდებო ანაზღაურება (პონორარი) უნდა გაზდეს ათი, ხოლო წევრ-კორესპონდენტის - რვა მინიმალური ხელფასის ტოლი.

- რა ფუნქციები განსაზღვრება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს?

- მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ფუნქციები განსაზღვრულია “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლით და, როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ პუნქტის შეცვლას და, მით უმეტეს, აკადემიის გაუმჯობესება არა ვიანაირებს.

- როგორ იქნება მეცნიერების დოფინანსება?

- იმედი უნდა ვქონიოთ, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსება სულ უფრო მზარდი იქნება.

- ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მე ამ შემთხვევაში უფრო დაფინანსების პრინციპი მაინტერესებს. რას უნდა ელოდოს მეცნიერებს და გაიგოს, მაგალითად, ენამეცნიერების ინსტიტუტი სახელმწიფოა?

- როგორც მოგასწენთ, პირველ რიგში დაფინანსების მატებას. ეს, რა თქმა უნდა, მეცნიერთა სოციალური დაცვის კანონის აშუშავენსთანაა დაკავშირებული. ენამეცნიერების ინსტიტუტი და ყველა ამგვარი ინსტიტუტი აუცილებლად უნდა არსებობდეს; ჩვენი სახელმწიფო საკმარისი მხოლოდობა სხვა ვერაფერს გააკეთებს.

- ამაღელ ყველა ინსტიტუტს ბიუჯეტში განსაზღვრული ჰქონდეს თავისი კონკრეტული თანხა და მას უცვლელად იღება. ეს ასევე გავრცელდება?

- რა იყო ეს ფული? ხელფასები და მინიმალური საგადასახადი ხარჯები. რადგან ეს თანხა ასე მწირი იყო, ზოგი ინსტიტუტში კვირაში ორჯერ დადიოდნენ, დანარჩენ დღეებში არ მუშაობდნენ, რომ დღეებში მუშაობის გარეშე გაეკეთებინათ. ახლა ხელფასი გაიზარდა, აქ ორი აზრი არ არსებობს.

- ეს ცხადია, მაგრამ ხელფასი გარკვეული ოპტიმიზაციის გარეშე ხომ ვერ გაიზარდება?

- სწორედ ამისთვის ტარდება ატესტაცია. ატესტაციის უშუალოდ აკადემია ატარებს მისივე ინიციატივით. ეს ატესტაცია მტკივნეულია, მაგრამ გარდაუვალი პროცესი იქნება.

- კულტურის მინისტრმა, მაგალითად, ამას წინათ პარლამენტში, საკონსტიტუტო კვირაში ორჯერ დადიოდნენ, დანარჩენ დღეებში არ მუშაობდნენ, რომ დღეებში მუშაობის გარეშე გაეკეთებინათ. ახლა ხელფასი გაიზარდა, აქ ორი აზრი არ არსებობს.

- არსებობს ბაზისური დაფინანსების სისტემა. ეს არის მინიმალური დაფინანსება. გარდა ამისა, ყველა მეცნიერი ექნება შესაძლებლობა, მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებაში ჩაერთოს. ინსტიტუტებს შეეძლება საშუალება, დადონ ხელშეწყობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ფორმებთან, მოიზიდონ თანხები და ასე შემდეგ.



კონცერტები

კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი სიმფონიური მუსიკის კონცერტი. თბილისის კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი. დირიჟორი ლევ მარკიზი (ნიდერლანდები); სოლისტი მანანა დოიჯაშვილი (ფორტეპიანო) პროგრამაშია: სტრავენსკი, გოერცკი, პიაცოლა დას: 19:00 სთ.

თეატრები

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი რაულ ხაუნერა და Tango Five დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ჰენრის იბსენი ნორა, ანუ თოჯინების სახლი რეჟისორი: გულნარა ბუთხუზი დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში ავქსენტი ცაგარელი “ხანუმა” რეჟისორი: ლევან წულაძე დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი ევრიპიდე, ჟან ანუი “მედეა” რეჟისორი: გოჩა კაპანაძე დას: 19:00 სთ.

კინომახაობთა თეატრი სტუდენტური ფილმების ფესტივალი “ჩვენ მოვდივართ” დას: 17:00 სთ.

პანტომიმის თეატრი “დონ ჟუანი” დადგმა: ამირან შალიკაშვილი დას: 18:00 სთ.

კინოთეატრები

რუსთაველი “50 პაემანი” დას: 12:30; 17:00 სთ.

“ვან ჰელსინგი” დას: 14:30 სთ.

“არსად აფრიკაში” დას: 19:00; 22:00 სთ.

ახმეტელი “ვან ჰელსინგი” 12:00; 16:30; 21:30 სთ.

“50 პაემანი” 14:30; 19:30 სთ.

ამირანი “ტროა” დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ. ფასი: 5-11 ლარი

გამოყვანა

ძველი გალერეა მიშა იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოყვანა

“ორიენტი ირაკლი ფარჯიანის ნამუშევართა მემორიალური გამოყვანა

“ქარვასლა” შალვა ხახანაშვილის ფოტოგამოყვანა

ბავშვთა ნახატების გალერეა გამოყვანა – “რა ვიცი ევროპის შესახებ”

კლუბები

“აჭარა მიუზიქ ჰოლი” რეზიდენტი დი-ჯეები კლუბის გახსნა: 22:00 სთ. ფასი: ბიჭებისთვის 20 ლარი გოგონებისთვის – უფასო

დაგეგმილ ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგაწყოდით ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ნიგნის სახლი წარმოგიდგენთ

პარასკევს, 21 მაისს, 17 საათზე დავით გულუას ნიგნის - “დავებრუნდები თქვენთან” პრეზენტაცია. ***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

23 მაისს და 6 ივნისს

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი “რუსული კლუბი” წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - “Превращения в Лукоморье” დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩაძე და პეტრე ხოტიანოვსკი კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი. დას: 13:00; 15:00 სთ.

საქართველოს რიჰარდ შაგნაირის საზოგადოება

22 მაისს, რიჰარდ ვაგნერის დაბადების 191-ე წლისთავზე, სამხატვრო აკადემიის საპქტო დარბაზში დაფუძნდება საქართველოს რიჰარდ ვაგნერის საზოგადოება. დასაწყისი 15 საათზე დასრება თავისუფალია.

“საუკითხოსო და არა ნახისმიერი”

კონსერვატორია მუსიკის მოყვარულთ ანგარიშს ახარებს

მაღი სარაზრიაკოვა

დღეიდან კონსერვატორიის დიდ დარბაზში სტუდენტური კონცერტების სერია იწყება. გარკვეულ საანგარიშო კონცერტებს, კონსერვატორიაში აქამდეც ყოველ წელს მართავდნენ. თუმცა, ამჯერად მზადება კონცერტებისთვის სულ სხვა დონეზე მიმდინარობდა: **“ჩვენ ვაბარებთ ანგარიშს არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ ზოგადად მუსიკის მოყვარულთ.** - აღნიშნავს კონსერვატორიის რექტორი მანანა დოიჯაშვილი - **თითოეული საკონცერტო ნომერი რთული კონკურსის საფუძველზე ირჩეოდა. ამ კონცერტზე გამოვლენ ის სტუდენტები, რომლებიც სულ ცოტა ხანში საერთაშორისო ასპარეზზე გავლენ”.**

კონსერვატორიის საანგარიშო კონცერტებს სტუდენტური ორკესტრი იწყებს. ორკესტრის პრობლემა დღეს საქართველოში საკმაოდ მწვავედ დგას. არა მხოლოდ სტუდენტურ, არამედ პროფესიულ დონეზეც კადრების სიმცირე მრავალი კომპრომისის მიზეზი ხდება. საბოლოოდ, კი მსმენელი ზარალდება. ამის გამო, კონსერვატორიაში პრიორიტეტულად სწორედ ეს დარგი ითვლება.

ბოლო რამდენიმე წელია, სტუდენტური ორკესტრი კონსერვატორიაში ისეთივე დატვირთვით მუშაობს, როგორც ჩვეულებრივი პროფესიული ორკესტრი: **“ჩვენი სტუდენტებისთვის თავიდან ცოტა უცხო, ყოველდღიური რეპეტიციები დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე გრძელდებოდა. დიდი სიახმევება იმის ყურება, რომ ორკესტრი ყოველდღიურად იზრდება და სტუდენტები ნამდვილ პროფესიონალებად ყალიბდებიან.”**

კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ დირი-



მანანა დოიჯაშვილი

ჟორს ლევ მარკიზს, რომელიც ამჟამად ნიდერლანდებში მოღვაწეობს. მარკიზმა პოლანდიაში “კონსერვატორიის მეგობართა ფონდი” დაარსა. იგი აპარაგებს სტუდენტებს ინსტრუმენტებით, ნიჭიერ ახალგაზრდებს დაუნიშნა სტიპენდია, ერთ-ერთი სტუდენტი ნიდერლანდებში მის სახლში ცხოვრობს და მასტერკლასებს იღებს. ამასთან, როგორც დირიჟორი, სრულიად უსასყიდლოდ მუშაობს ორკესტრთან. ამ მუშაობამ გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო. გასულ შემოდგომაზე კონსერვატორიის სტუდენტურმა ორკესტრმა წარმატებული გასტროლები გამართა გერმანიაში და მონაწილეობა მიიღო ბონში, ბეთჰოვენის ფესტივალში. 2005 წელს უკვე დაგეგმილია ორკესტრის გასტროლები პოლანდიაშიც. მანამდე კი დეკემბერში ისინი კონსერვატორიის საშობაო კონცერტების ციკლშიც მიიღებენ მონაწილეობას.

სწორედ ლევ მარკიზის ხელმძღვანელობით მომზადდა კონსერ-

ახალი თაობის გერმანელი კინო



“რუსთაველში” პრესკონფერენციაზე

იქინება კინოს სახლში, ხოლო ორიგინალური ვერსიები – გოეთეს ინსტიტუტში. კვირეულის პროგრამაშია ცხრა ახალი, სრულმეტრაჟიანი ფილმი. ღონისძიების ორგანიზატორების თქმით, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია გერმანელ რეჟიმტრეებს შორის არიან: გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი.

რეტროსპექტივას ორ დარბაზში წარმოადგენენ. ქართულ ენაზე გახმოვანებული ფილმები ნაჩვენებია

ერთიანების ფონზე... ერთი სიტყვით, რეტროსპექტივას აქვს პრეტენზია, რომ ქართველ მაყურებელს თანამედროვე გერმანული კინოს უკანასკნელი წლების სიახლეებს გააცნობს. ამ ფილმების უმრავლესობა საერთაშორისო კინოფესტივალებზე სხვადასხვა პრიზებით აღნიშნა. მათ შორის, ალბათ ჩვენი მაყურებლისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება შარშან წლის საუკეთესო ევროპული ფილმის ტიტულის მფლობელი – “მშვიდობით, ლენინი!” ასევე, კვირეულის ფავო-

კვირეულის გარდა, “მედიან-ფილმი-პროდუქცია-სერვისი” კიდევ ერთი ინიციატივის ავტორია – სწორედ მათი დახმარებით თბილისის კინოთეატრებში დღეიდან დაიწყო ფილმის - “არსად აფრიკაში” ჩვენება. “რუსთაველში”, როგორც კინოთეატრის ხელმძღვანელებმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე გვაცნობეს, ფილმს ათი დღის განმავლობაში აჩვენებენ. როგორც გუშინ მერაბ წინიძემ განაცხადა, ფილმს ქართველად თავად მსახიობი ამოგვანებს.

ლო, რომელთა სახელებიც მითებად იქცნენ. როგორც დათომ თქვა, თურმე, ვეტერინარსაც ისევე შეუძლია იყოს საზოგადო მოღვაწე, როგორც მწერალს. თუმცა, დამეთანხმებით, მწერალს და ვეტერინარს ან ყსაბს, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაოდ არათანაბარი შესება აქვთ საზოგადო მოღვაწეობასთან. მაგრამ ეს დათოს საღამო იყო და მას სრული უფლება ჰქონდა, საკუთარი ორიგინალური აზრები გამოეხატა. აღსანიშნავია, რომ ეს აზრები საკმაოდ თამამი იყო. დათო მიიჩნევს, რომ ლიტერატურა ჩიხში შევიდა და ველაფაფერს ახალს ეერ ამბობს, არ შეიძლება “ჩვენს დროში წერო თომას მანის მანერით, ისევე როგორც გოლსუორთი წერდა ბაულზაკივით, რაც სასაცილოა”.

საღამოს ბოლოს კი, დათო ქართველიშვილი კიდევ უფრო განზოგადდა და თანამედროვე ცივილიზაციის განხილვას შეუდგა, რომელსაც მურზე აგებული უწოდა. დასრულების შემდეგ, ერთ-ერთმა მსმენელმა ქალბატონმა მას მადლობაც კი გადაუხადა არსებობისათვის. ასეთი მაღლფარდოვნების რა მოგასხენოთ, მაგრამ საღამო საკმაოდ ცოცხალი, საინტერესო და, როგორც ინგლისელები იტყვიან, fresh გამოდგა.

კანის ფესტივალის დღიური

ნანსტან ნიქარაძე
საპუ. არო. კანიაძე

ფესტივალის დასრულებამდე სამი დღით ადრე, საკონკურსო პროგრამის თერამეტი ფილმიდან თხუტმეტის პრემიერა უკვე შედგა. 22 მაისს კი დაჯილოების ცერემონიაზე 57-ე ფესტივალის რვა წევრისგან დაკომპლექტებული ჟიური ვერდიქტს გამოიტანს. მისი თითოეული წევრი (ცმანუელ ბერი, კეტლინ ტერნერი, 32 წლის ამერიკელი მწერალი ედვიჯ დანტიკატი, ბრიტანელი მსახიობი ტილდა სვინსტონი, ფინელი კინოკრიტიკოსი პეტერ ვან ბაგი, ბელგიელი მსახიობი და სცენარისტი ბენუა პოულეოორდე, ჰონკონგელი და ამერიკელი რეჟისორები ტსუი პარკი და ჯერი შატსბერგი) პირველად ფესტივალის არსებობის მანძილზე, ვალდებული იქნება საჯაროდ დასაბუთოს რატომ მისცა ხმა ამ თუ იმ ფილმს. თუმცა მანამდე ფესტივალის მუშაობის კიდევ სამი დღე და არა მხოლოდ საკონკურსო, არამედ ფესტივალის ფარგლებში მიმდინარე ყველა სხვა პროგრამით გათვალისწინებული ფილმების ჩვენების ციებ-ცხელება გრძელდება.

■ ■ ■

კანის ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე მედიატიზირებული მოვლენაა. ამის ნათელი დასტურის ფაქტიც არის, რომ მისი მიმდინარეობა მსოფლიოს 70 ქვეყნის მედიების წარმომადგენელი 4 ათასი ჟურნალისტის მიერ მოქმედება. ხოლო თავად ფესტივალი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ კინორამბოზა მძლავრ ინდუსტრიად იქცა, რომლის მასშტაბიც - ინვესტიციების და მიღებული მოგების გათვალისწინებით - წლიდან წლამდე მხოლოდ იზრდება. 2004 წლის ფესტივალის ტრადიციულმა "კინობაზარმა" ამჯერად კინოპროდუქციის დისტრიბუტორების, ექსპორტიორების, მყიდველების და გამქორავებლების, ანუ კინობაზრის პროფესიონალების რეკორდულ რაოდენობას (8 382) მიაღწია. სწორედ ისინი გაიტანენ მსოფლიოს 69 ქვეყანაში იმ ფილმებს, რომლებიც კანის 57-ე ფესტივალზე წარმოდგენილი. მათ შორის, პირველ რიგში, აღიარებული ბლკბასტერები და იმედია, საატგორო კინოს მცირეზიუჟეტებიანი, ნაკლებად შემოსავლიანი, მაგრამ ირიკინალური ფილმებიც იქნება; რომელთაც თავისი მაყურებელი, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ჰყავს.

